შპს „ვარციხე 2005“

ტექნიკური დავალება

შპს „ვარციხე 2005“-ის კუთვნილ ჰესი #3-ზე სააკუმულატორო ბატარეის შეცვლა (მიწოდება და მონტაჟი)

1. ზოგადი დახასიათება

ჰესი #3-ის სააკუმულატორო ბატარეა უზურნველყოფს სადგურს მუდმივი 220 ვ დენით ოპერატიული წრედების (საგენერატორო ამომრთველების მართვის, დაცვის, სიგნალიზაციის, ავარიული განათების) კვებას.

ჰესი #3-ზე ამჟამად დამონტაჟებულია **CH-200** ტიპის სააკუმულატორო ბატარეა (**108** ელემენტით). არსებული სააკუმულატორო ბატარეა ექსპლუატაციაში იმყოფება 16 წელი.

ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად ადგილი აქვს ელემენტების დაზიანებას - შეინიშნება აკუმულატორებში ფირფიტების დაზიანება (ჩამოშლა), დაზიანებულია ელემენტების ჰერმეტულობა, რის გამოც საკონტაქტო ამომყვანები კოროზირებულია და დაზიანებულია (მოძრაობენ ბუდეებში). შემცირებულია სააკუმულატორო ბატარეის თევადობა.

შესასრულებელი სამუშაოების მიზანია ძველი რესურსამოწურული სააკუმუკლატორო ბატარეის შეცვლა ახლით, სადგურის ოპერატიული ძაბვით საიმედო უზრუნველყოფის მიზნით.

2. სამუშაოს მოცულობა

– ძველი სააკუმულატორო ბატარეის დემონტაჟი და აკუმულატორების დასაწყობება დამკვეთის მიერ გამოყოფილ ადგილზე.

– ახალი სააკუმულატორო ბატარეების დამონტაჟება თაროებზე, მათი შეერთება და სალტეებთან დაერთება.

– მონტაჟის წინ თითოეული ელემენტის შემოწმება ჰერმეტულობაზე, დაზიანებაზე;

– აწყობილი სააკუმულატორო ბატარეის საკონტროლო გაზომვების ჩატარება (აკუმულატორების ტევადობის განსაზღვრა, ძაბვის განსაზღვრა, საკონტროლო განმუხტვის/დამუხტვის ჩატარება).

– შესრულებული სამუშაოების გაზომვების და ტექნიკური აქტების შედგენა.

– **3. მოთხოვნები**

– სააკუმულატორო ბატარეის ტევადობა - **200 ა/სთ**

– საკუმულატორო ბატარეის თითოეული ელემენტის ძაბვა - **2,18÷2,2 ვოლტი**

– ელემენტების რაოდენობა - **110 ერთეული**

– ტიპი - ჰერმეტული მჟავური აკუმულატორები

– აკუმულატორები უნდა იყოს ახალი, არ ნამყოფი ექსპლუატაციაში, სრულად მზად ექსპლუატაციაში გაშვებისათვის.

– აკუმულატორების ხარისხი და წარმომავლობა დადასტურებული უნა იქნას შესაბამისი დოკუმენტებით.

– სააკუმულატორო ბატარეის საექსპლუატაციო პერიოდი უნდა შეადგენდეს არანაკლებ **15 წელს** ექსპლუატაციაში შეყვანიდან.

4. დამატებითი მოთხოვნები

– მსგავსი სამუშაოების წარმოების გამოცდილება;
– წარმოდგენა იმ პროექტების, რომელიც ჩატარებულია საქართველოში;

შპს „ვარციხე 2005“-ის ადმინისტრაცია